მიწოდების ხელშეკრულება 01/001

ქ.თბილისი 07 ივლისი, 2015წ

ერთის მხრივ, შპს "აგაატორა" ს/კ 405076304 (შემდგომში "რეკლამის მსურველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნაზა ფრუიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "MMG Traiding" ს/კ 404950932 (შემდგომში "უფლების გამცემი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ბაია ხორავის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მოლაპარაკებების საფუძველზე, შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "ხელშეკრულების" მიხედვით უფლების გამცემი თავის მართვის ქვეშ არსებული ბინების ტერიტორიაზე უფლებას აძლევს რეკლამის მსურველს განათავსოს სარეკლამო სტენდი "რეკლამის შესახებ" კანონის მიხედვით, მისი ინსტრუქციების გათვალისწინებით თავისი სახელით და საკუთარი ხარჯებით.

1.2. სარეკლამო სტენდი უნდა შეესაბამებოდეს ქალაქში არსებულ სტანდარტებს და ყველა შესაბამისი ნებართვა და გადასახადი უნდა მიბმულ იქნეს რეკლამის მსურველის მიერ.

1.3. "უფლების გამცემი" ადასტურებს, რომ უფლებრივად ის არის აღნიშნული უფლების ერთადერთი გამცემი.

2. სარეკლამო სტენდის განთავსების ადგილი

2.1. სარეკლამო სტენდის განთავსების ადგილია: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი

2.2. სარეკლამო სტენდი განთავსების ადგილზე უნდა განთავსდეს ისე, რომ არ მოხდეს მე-3 პირთა უფლებების ხელყოფა. განთავსების ადგილზე კონკრეტული მოსაკვეთი განისაზღვრება მხარეთა მიერ.

3. კომპანიის უფლება-მოვალეობები

3.1. "უფლების გამცემს" უფლება აქვს:

3.1.1. მოითხოვოს თანამშრომლის და მყარი სარეკლამო სტენდების განთავსება;

3.1.2. მოითხოვოს სარეკლამო სტენდების განთავსება (მონტაჟი და/ან დემონტაჟი) "რეკლამის მსურველის" ხარჯებით;
3.1.3. მოითხოვოს ანაზღაურების დროული და სრული გადახდა;
3.1.4.მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში სარეკლამო სტენდების დემონტაჟი;

3.2. "უფლების გამცემი" ვალდებულია:
3.2.1. გამოყოს კონკრეტული ადგილები სარეკლამო სტენდების მოსაწყობად;
3.2.2. არ მისცეს ანალოგიური უფლება რეკლამის განთავსებაზე სხვა პირს.

3.3. "რეკლამის მსურველს" უფლება აქვს:
3.3.1. განათავსოს სარეკლამო სტენდები საკუთარი შეხედულებისამებრ, საკუთარი სახელით და საკუთარი ხარჯებით.
3.3.2. მოითხოვოს "ხელშეკრულების" მოქმედების განმავლობაში მხოლოდ მან განათავსოს სარეკლამო სტენდი.

3.4. "რეკლამის მსურველი" ვალდებულია:
3.4.1. თავისი რისკით და ხარჯით განათავსოს და/ანმოხსნას სარეკლამო სტენდები;
3.4.2. თავისი სახელით მიიღოს ნებისმიერი ნებართვა და/ან ლიცენზია ასეთის აუცილებლობის შემთხვევაშიადმინისტრაციული ორგანოებიდან;
3.4.3. გადაიხადოს სარეკლამო გადასახადი დროულად.
3.4.4. დროულად და სრულად გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული "ანაზღაურება"

4. ანაზღაურება

ანაზღაურება განისაზღვრება ყოველთვიურად 5 500 (ხუთიათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, გადახდის დღისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად დღგ-ს გარეშე, რომელიც გადახდილ უნდა იქნას ყოველი მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე შემდეგ ანგარიშზე: GE93BR0000010549317844

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 "ხელშეკრულება" იდება 2015 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
5.2. ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივება ერთი თვით ადრე მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების შეწყვეტის ან გაგრძელების შემთხვევაში მეორე მხარეს შეატყობინონ აღნიშნულის შესახებ.

6. ხელშეკრულების ვალდებულებად მიჩნევა

6.1. ხელშეკრულება ვალდებულებად მიჩნეულია დასაშვებია „უფლების გამცემის" მიერ „რეკლამის მსურველისათვის" ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, თუ რეკლამის მსურველი არ გადაიხდის ანაზღაურებას 1 თვის განმავლობაში.
6.2. „რეკლამის მსურველს" უფლება აქვს ვალდებულად მოშალოს წინამდებარე „ხელშეკრულება" „უფლების გამცემისათვის" ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

6. ფორსმაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის თუ აღნიშნული გამოწვეული იქნება ფორს-მაჟორული ვითარებით.
6.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორულ ვითარებად მიიჩნევა გარემოება, რომელიც მხარეების კონტროლის ფარგლებს სცილდება, და რომლის დადგომაც ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის და მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: ომით, ამბოხებით, სამოქალაქო არეულობით, მიწისძვრით, ხანძრით, აფეთქებით, ქარიშხლით, წყალდიდობით ან სხვა სტიქიური უბედურებით, კონფისკაციით ან სახელმწიფო დაწესებულებების სხვა მსგავსი მოქმედებით.
6.3. მხარე, რომელსაც ფორს-მაჟორული ვითარება შეეხო, უმოკლეს ვადაში, მაგრამ ამგვარი გარემოებების დადგომიდან არაუგვიანეს თოთხმეტი (14) დღისა, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს ამ ვითარების თაობაზე მტკიცებულების, ვითარების ხასიათის და მისი დადგომის მიზეზის აღწერით და შესაბამისად უმოკლეს ვადაში შეატყობინებს მეორე მხარეს ნორმალური პირობების აღდგენის შესახებ.

7. დაგების გადაწყვეტა

7.1. ყველა წინააღმდეგობის და სადავო საკითხის, გამომდინარე წინამდებარე ხელშეკრულებიდან, მხარეები წყვეტენ მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სადავო საკითხი წყდება სასამართლოს მიერ, დადგენილი წესით.

8. უფლებების გადაცემა

9.1. ამ "ხელშეკრულებიდან" გამომდინარე უფლებების და/ან ვალდებულებების ცალმხრივად მე-3 პირებზე გადაცემა დაუშვებელია.

9. საერთო პირობები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად (ერთი - "დამკვეთისთვის", ერთი - "კონსახიობისთვის", ამასთან ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
8.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ.
8.3. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით, დამატებით რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.უფლების გაცემა

"უფლების გამცემი"

"რეკლამის მსურველი"

